# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის პროექტი

[ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა]

[შპს კავკასიის უნივერსიტეტი]

[31.03.2023]

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი ----------დავით----------

გვარი ----------სიხარულიძე----------

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი(ერთობლივი) |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | VII |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული |
| 7 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1; Germany, Technische Hochschule Wildau Hochschulring 1, 15745 Wildau |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 27.01.2022; №76905 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 12.01.2022 |

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 12.01.2023 |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 12.01.2026 |

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 12/01/2022. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 12/01/2023

1. პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ პროგრამა გაძლიერდეს მეთოდოლოგიისა და კვლევის დიზაინის ამსახველი საკითხებით, მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს;
2. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს შესაბამისი საინჟინრო მიმართულებების საკითხების/საგნების სწავლება;
3. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის სათაური სწავლის შედეგების შესაბამისად;
4. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ გაიწეროს მისაღები კრიტერიუმები შიდა გამოცდის/გასაუბრების ნაწილში და წარმოდეგნილ იქნას დეტალურად;
5. რეკომენდებულია სასწავლო გეგმას დაემატოს პრაქტიკა/სტაჟირება;
6. რეკომენდებულია პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს სტრუქტურისა და შინაარსის კავშირი ციფრულ ლოგისტიკასთან;
7. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა;
8. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით;

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

**დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები.** რეკომენდაციების შესრულების მიზნით დაწესებულებამ ჩაატარა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტის ხარისხის

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით მოხდა მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ამ პროცესში მონაწილე პირებმა/სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, მოახდინეს ინფორმაციის იდენტიფიცირება-შეჯამება, რეკომენდაციების გათვალისწინების გზების დასახვა და აღსრულება, რეკომენდაციების შესაბამისად.

რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, პროგრამას დაემატა კვლევის მეთოდების და საინჟინრო მიმართულების სასწავლო კურსები, არჩევით ბლოკში დაემატა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი. პროგრამას დაემატა ორი აფილირებული აკადემიური პერსონალი და ზოგიერთ სასწავლო კურსი განახლდა სავალდებულო ლიტერატურა.

## რჩევ(ებ)ი[8]

1. გადაიხედოს არჩევითი საგნების სია და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა კონცენტრირება მოახდინონ ლოგისტიკის კონკრეტულ სფეროებზე;

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

- **რჩევის გათვალისწინება არ ფიქსირდება**

## დამატებითი ინფორმაცია[10]

---
---
---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | 1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |
| კომპონენტის დასახელება[13] | 1.1. პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია I[14] | **პროგრამა შემუშავებულია გერმანიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სტილში, რომელიც პრაქტიკაში გამოყენებაზეა ორიენტირებული. თუმცა, ქართული სტანდარტები კვლევაზე ორიენტირებას მოითხოვს. აუცილებელია, რომ პროგრამა გაძლიერდეს მეთოდოლოგიისა და კვლევის დიზაინის ამსახველი საკითხებით, მუშაობისთვის მოამზადებს სტუდენტს;** |
| შეფასება | **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამას დაემატა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“. აღნიშნული სასწავლო კურსის დამატება ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს გაიუმჯობესონ კვლევითი უნარები და რაც დაეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის ეფექტიანად შესრულებაში. |
| რჩევა[15] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა<br>• სასწავლო კურსის სილაბუსი |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |
| კომპონენტის დასახელება | 1.1. პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია II[16] | **რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს შესაბამისი საინჟინრო მიმართულებების საკითხების/საგნების სწავლება;** |

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| შეფასება | **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** ვინაიდან პროგრამას დაემატა ორი სასწავლო კურსი: ,,ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი“ და „ციფრული საწყობის მენეჯმენტი“. ამ სასწავლო კომპონენტების დამატებით პროგრამა გაძლიერდა საინჟინრო მიმართულების საგნებით. |
| რჩევა[17] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა<br>• სასწავლო კურსის სილაბუსი; |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |
| კომპონენტის დასახელება | 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები |
| რეკომენდაცია II[18] | **რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამის სათაური სწავლის შედეგების შესაბამისად;** |
| შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებულია. პროგრამის დასახელებაა ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტი, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საინჟინრო ლოგისტიკის მაგისტრი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბულია შემდეგი 7 სწავლის შედეგები:<br><br>• აანალიზებს და იყენებს ლოგისტიკის თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებსა და საინფორმაციო სისტემებს, მენეჯმენტის მეთოდებს და საერთაშორისო სტანდარტებს;<br>• ეფექტურად გეგმავს ციფრული ლოგისტიკის ტექნოლოგიების სტრუქტურას ორგანიზაციებში და ავითარებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისის მიწოდების სტრატეგიებს;<br>• იყენებს მეთოდებს და შეფასების სისტემებს, რათა შეაფასოს ორგნიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, სტრატეგიული რისკები. დამოუკიდებლად გეგმავს და მართავს რისკიან და დინამიურად ცვალებად პროცესებს;<br>• იყენებს ციფრული ლოგისტიკის ტექნოლოგიებს დაგეგმვის და ლოგისტიკური პროცესების |

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | მოდელირების თანამედროვე ინსტრუმენტებს და აპლიკაციებს;<br>• პრაქტიკაში იყენებს ორგანიზაციაში ბიზნესის თანამედროვე ტექნოლოგიებს, აფასებს კომპლექსურ პრობლემებს, აანალიზებს შედეგებს და იღებს ინოვაციური გადაწყვეტილებას;<br>• ახორციელებს მეცნიეულ-თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტში, იყენებს მეცნიერული კვლევების თანამედროვე ტექნოლოგიებს;<br>• აფასებს და თვლის ლოგისტიკური სისტემების გარემოზე ზემოქმედების შედეგებს.<br><br>სწავლის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია როგორც ციფრული ლოგისტიკის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საინფორმაციო სისტემებზე, ასევე ლოგისტიკის პროცესების დაგეგმვაზე. ამგვარად შეიძლება ითქვას პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია როგორც პროგრამის დასახელებასთან, ასევე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. |
| რჩევა[19] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| რეკომენდაცია II[20] | **პროგრამაზე მიღების წინაპირობებში მკაფიოდ გაიწეროს მისაღები კრიტერიუმები შიდა გამოცდის/გასაუბრების ნაწილში და წარმოდეგნილ იქნას დეტალურად;** |
| შეფასება | **რეკომენდაცია გათვალიწინებულია.** ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტია „პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“. დაწესებულებას გაწერილი აქვს თუ ვის აქვს აღნიშნულ |

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | პროგრამაზე სწავლის  უფლება. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ინჟინერიის, მენეჯმენტის, ეკონომიკის ან ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ასევე სხვა სფეროს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და ლოგისტიკის მიმართულებით არანაკლებ 1 წლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე პირს პროგრამაზე დასაშვებად მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;  შიდა საუნივერსიტეტო წერითი გამოცდის წარმატებით გავლა, რომელიც მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად და ზოგად ლოგიკურ და რაოდენობრივი მსჯელობის კითხვებს; პირი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (IELTS-6.0, TOEFL-78,  B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება).  ყოველი ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. კერძოდ დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია. პროგრამის სტრქუტურა და მიღების წესები. მიღების წესების განყოფილებაში განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: პროგრამის მიღები წინაპირობები:<br>• საბაკალავრო ხარისხი შესაბამის დარგებში. დეტალური ინფორმაციისთვის მითითებულ ბმულზე უნდა გადავიდნენ, სადაც მოცემულია პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია;<br>• მისაღები წერითი გამოცდა (რომელიც მოიცავს იგლისურ ენას B2 დონეზე და ლოგისკისა და რაოდენობირვ საკითხებს). აქვე მოცემულია ტესტის ნიმუში;<br>• შიდა ზეპირი გამოცდა/გასაუბრება ერთობლივ აკადემიურ კომისიასთან (JAC). აქვე ბმულის სახით მოცემულია გასაუბრების საკითხები;<br>ამავე გვერდზე მოცემულია წარმოსადგენი დოკუმენტაციის სია და თარიღები.<br><br>**რეკომენდაცია შესრულებულია;** |
| რჩევა[21] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა; |

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | • უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://cu.edu.ge/ka/schoolss/cst/programs-cst/graduate-cst/digital-logistics-management-th-wildau |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია II[22] | **რეკომენდებულია სასწავლო გეგმას დაემატოს პრაქტიკა/სტაჟირება;** |
| შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებული. პროგრამაში დამატებულია |
| რჩევა[23] II | **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** პროგრამას დაემატა პროფესიული პრაქტიკა და განისაზღვრა 6 კრედიტით. (სილაბუსში მითითებულია 12 კრედიტი, ვფიქრობთ ტექნიკური ხარვეზია და საჭიროებს გამოსწორებას) აღნიშნული კომპონენტი არჩევით ბლოკშია. დაწესებულებას თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან. პროფესიული პრაქტიკის გავლა სავალდებულოა საქართველოში დაბრუნებული იმ სტუდენტისთვის, რომელიც არ იქნება დასაქმებული ლოგისტიკის მიმართულებით. |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • სამაგისტრო პროგრამა;<br>• პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი<br>• თვითშეფასების დოკუმენტი |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია II[24] | **რეკომენდებულია პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს სტრუქტურისა და შინაარსის კავშირი ციფრულ ლოგისტიკასთან;** |
| შეფასება | **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.** ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია. დარგობრივი კომპონენტები მოიცავს 108 კრედიტს. აქედან 72 კრედიტი მოდის დარგობრივ სავალდებულო სასწავლო კურსებზე. 6 კრედიტი მოდის არჩევით სასწავლო კურსებზე. ხოლო სამაგისტრო ნაშრომი განისაზღვრა 30 კრედიტით. თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო კურსები განისაზღვრა 12 კრედიტით.<br><br>სამაგისტრო პროგრამის დარგობრივი კომპონენტების მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:<br><br>• **ლოგისტიკის გადაწყვეტილებების მხარდამჭერი სისტემები**<br>• ფინანსური მენეჯმენტი<br>• **ინტერმოდალური ტრანსპორტის და ტერმინალების მენეჯმენტი**<br>• **მიწინავე ენერგოტექნოლოგიები ლოგისტიკაში**<br>• **გლობალური ლოგისტიკა IT სისტემების გამოყენებით**<br>• **ტრანსპორტის დაგეგმვის სისტემები**<br>• **საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი**<br>• აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები<br>• **მოწინავე ლოგისტიკური ქსელების ოპერირება**<br>• ბიზნეს ანალიტიკა და ციფრული ტრანსფორმაცია<br>• **ლოგისტიკის ხარისხის და გარემოსდაცვითი მენეჯმენტი**<br>• **ციფრული საწყობის მენეჯმენტი**<br>• ციფრული რისკის და ცვლილებების მენეჯმენტი<br>• **სამაგისტრო ნაშრომი**<br><br>ამ საგნებიდან 9 მიეკუთვნება (54 ECTS) ლოგისტიკის და ციფრული ლოგისტიკის, პლუს 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. |
| რჩევა[25] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • ციფრული ლოჯისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა. |

[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება | 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II[26] | **რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა.** |
| შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან შემდეგ სასწავლო კურსებში ,,პროექტების მართვა, ლიდერობა და ინტერ მოდალური ტრანსპორტირების და ტერმინალების მენეჯმენტი“ განახლდა გამოყენებული ლიტერატურა. |
| რჩევა[27] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • სასწავლო კურსების სილაბუსები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა** |
| კომპონენტის დასახელება | 4.1 ადამიანური რესურსები |
| რეკომენდაცია II[28] | **რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით;** |
| შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებულია. კერძოდ სამაგისტრო პროგრამა დაემატა ერთი აკადემიური პერსონალი, რომელიც აფილირებულია უნივერსიტეტთან. ხოლო პროგრამის თანა ხელმძღვანელი გახდა უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი. |
| რჩევა[29] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • პირადი საქმეები. |

[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

**თანდართული დოკუმენტაცია**[30]

- ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმე
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://cu.edu.ge/ka/schoolss/cst/programs-cst/graduate-cst/digital-logistics-management-th-wildau

***ექსპერტის ხელმოწერა***

[30] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა